



საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 104

„15 „დეკემბერი“ 2016 წ.

„საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აპრილის №97 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის და მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის, „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 26 თებერვლის №104 დადგენილების და საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 4 მარტის №10 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 29 ივნისის №45 ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) ბრძანების დანართი №5 ჩამოყალიბდეს ახალი თანდართული რედაქციით:

2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

კახა კალაძე

**პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებული პროგრამების, ქვეპროგრამების და
ღონისძიებების აღწერა**

პრიორიტეტის დასახელება¹

რეგინალური განვითარება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი

36 01 პროგრამის დასახელება

ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა

განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო; სსიპ -ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

პროგრამის აღწერა და მიზანი

ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია.

საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

ელექტროენერჯის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერჯის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება.

ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა.

არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტიციების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონიტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი.

ინვესტიციებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამამუშავების, გაზის დამამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა.

ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა.

შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტიციების მოძიება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

ქარის, მზის და ბიომასის ელექტროსადგურების განვითარება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება.

ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარება ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით.

ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა.

ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.

საქართველოს ენერგოუსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

ახალი ქარის და მზის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის მშენებლობა

განხორციელების ვადები²
მიმდინარე

36 01 01 01 ღონისძიების დასახელება
ენერგეტიკის სამინისტროს აპარატი

ღონისძიების განმახორციელებელი
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ელექტროენერგეტიკის, ნავთობისა და გაზის სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება. სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შემუშავება, მისი განხორციელების კოორდინაცია. საქართველოს ენერგეტიკის სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ელექტროენერჯის განახლებადი და ალტერნატიული წყაროების მოძიების, უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სამოქმედო გეგმის შემუშავება. ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და ენერგოდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა. განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, ქვეყნის მდგრადი განვითარების და ნავთობისა და გაზის რაციონალური სარგებლობის დაგეგმვის მიზნით პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და/ან ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება და შესაბამისი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა. ნავთობისა და გაზის რესურსების ათვისების და ნავთობის გადამუშავების სფეროში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა. ქარის და შხის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის განხორციელება, შემდგომში მშენებლობის მიზნით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება. ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ეკონომიკის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა ენერგომომარაგების უზრუნველყოფის გზით. ენერგომატარებლებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და მოსახლეობის სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ქარის და შხის ელექტროსადგურების და ბიომასის თბოელექტროსადგურის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის დასრულება და მშენებლობის მიზანშეწონილობის დადგენა.

განხორციელების ვადები²
მიმდინარე

36 01 01 02 ღონისძიების დასახელება
სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ღონისძიების განმახორციელებელი
სსიპ - ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ნავთობისა და გაზის არსებული რესურსების ათვისება კონკურენტუნარიანი საინვესტიციო გარემოს შექმნის, ახალი ინვესტიციების მოზიდვის და მცირედებიტიანი ჭაბურღილების ამოქმედების გზით. გეოლოგიურ - გეოფიზიკურ მონაცემთა ცენტრალური საინფორმაციო ბანკის შექმნა. ადგილობრივი ნავთობგადამამუშავებელი საწარმოების და ნავთობპროდუქტების მაჩვენებელთა ევროპულ სტანდარტებთან მიახლოება და მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის ღონისძიებათა ხელშეწყობა. ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის მიზნით ღია საერთაშორისო ტენდერების ჩატარება,

ნავთობისა და გაზის გადამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის სფეროში ლიცენზიების გაცემა და სალიზენზიო პირობების შესრულების მონიტორინგი;

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სფეროში ინვესტიციების მოზიდვა და გაზრდა. ახალი საბადოების გახსნა/ათვისება.

საქართველოს ენერჯოსაფრთხოების და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

თანამედროვე მოთხოვნების ნავთობ/გაზგადამამუშავებელი საწარმოების შექმნა, საერთაშორისო ნორმების შესაბამისი ტექნოლოგიების დანერგვა.

ნავთობ/გაზპროდუქტების ეროვნული წარმოების განვითარება.

განხორციელების ვადები²

მიმდინარე

36 01 01 03 ღონისძიების დასახელება

საქართველოს ელექტროენერგეტიკის ბაზრის ახალი კონცეფციის შემუშავება

ღონისძიების განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

პროექტი ფინანსდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გრანტით, რომელიც ითვალისწინებს საკონსულტაციო მომსახურებას ელექტროენერჯის სავაჭრო პლატფორმის შემუშავებაში, იმისათვის, რომ საქართველოში ჩამოყალიბდეს ევროკავშირში არსებული კონკურენტული ბაზრის პრინციპებზე დაფუძნებული ელექტროენერჯის კონკურენტული, ეფექტური და გამჭირვალე ბაზრი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

პროექტის განხორციელების შედეგად წარმოდგენილ ანგარიშში განხილული იქნება:

დღემდე არსებული დონორების და დანტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი ანგარიშგებების შედეგებისა და მოქმედი მარეგულირებელი აქტების შეჯამება;

ანალიზის საფუძველზე შედგენილი იქნება ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი კონცეფცია;

განხორციელების ვადები

2017

36 01 02 ქვეპროგრამის დასახელება

მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო ,

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზისა და ელექტროენერჯის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება და ელექტროფიცირება.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების

ხელმისაწვდომობის გაზრდა. დასაქმდება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება. დაახლოებით 300 კმ სიგრძის სხვადასხვა დიამეტრის (90-160 მმ) გაზის მილების მონტაჟი. სოფლების სრული დაქსელება. დღეისათვის გაზიფიცირებულია 1 053 000 აბონენტი.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მოსახლეობისთვის გაზისა და ელექტროენერჯის მიწოდების ხელმისაწვდომობის გაზრდა. დასაქმდება ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სამიზნე რეგიონების მეწარმეობის გამოცოცხლებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას. 2017 წელს დამატებით 10000-მდე აბონენტს მიეცემა ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა.

განხორციელების ვადები?

მიმდინარე

36 01 03 ქვეპროგრამის დასახელება

ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

განხორციელდება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

განხორციელების ვადები?

მიმდინარე

36 02 01 ღონისძიების დასახელება

ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი

ღონისძიების განმახორციელებელი

შპს „ენგურჰესი“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ენგურჰესის სადაწნეო გვირაბი ავარიულ მდგომარეობაშია, დიდია ფილტრაციული დანაკარგები, მრავალ ადგილას დაზიანებული გვირაბის ბეტონის მოსახვა; დაზიანებულია 1-ლი, მე-2 და მე-5 ტურბინების წყალსატარები; უკიდურესად ცუდ მდგომარეობაშია გზის საფარი; აფხაზეთის კონფლიქტის შედეგად განადგურებულია წყალსაშვის ფარები; წყალსაცავში ლამის მაღალი დონის გამო შეუძლებელია მისაყრდნობი ფარის ჩაშვება კაშხლის ზედა ბიეფის მხრიდან. ენგურჰესის ექსპლუატაციის ნორმების თანახმად სადერივაციო გვირაბი ყოველ ხუთ წელიწადში საჭიროებს დათვალეირებას და საჭიროების შემთხვევაში სარემონტო სამუშაოების ჩატარებას, რათა შემცირებული იქნას სადერივაციო გვირაბში გამავალი წყლის დანაკარგები, შესაბამისად გაიზარდოს გამოიმუშავება.

ჩასატარებელია შემდეგი სამუშაოები: ენგურჰესის სადაწნეო გვირაბის ავარიული უბნების რემონტი; სადერივაციო გვირაბის, სატურბინო წყალსატარების და სადერივაციო გვირაბთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; წყალსაშვის ფარებისა და მათი ამწე-მექანიზმების დაშზადება. მდ. ენგურის ძველ კალაპოტზე მოწყობილ კაშხალზე ფარების მართვის აღდგენა, რათა პიკურ პერიოდებში შესაძლებელი გახდეს ენგურის შენაკადების გადაგდება ვარდნილის წყალსაცავში; მორალურად და ფიზიკურად გაცვეთილი მოწყობილობების გამოცვლა (საჭაერო ამომრთველები, დენის და ძაბვის ტრანზფორმატორები, გამთიშველები)

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

2017 წლისთვის დაიწყება მოსამზადებელი სამუშაოები გვირაბის კონკრეტული ავარიული უბნების დადგენისა და შემგომი სამუშაოების დაგეგმისათვის; ჩატარდება ტენდერები მოწყობილობების გამოცვლის სამუშაოებზე; ფარებისა და მათი ამწე-მექანიზმების შეცვლის სამუშაოებზე; დაიწყება მდინარე ენგურის ძველ კალაპოტზე მოწყობილ კაშხალზე ფარების მართვის აღდგენის სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ფილტრაციული და დაწნევის კარგების შემცირება; აგრეგატების საიმედოობის გაზრდა. ავარიული გაჩერებების პრევენცია; არხში წყლის დონის ავტომატური რეგულირება და წყლის ხარჯის რეგულირება მდინარე ენგურისა და ერისწყლის კალაპოტებში; შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელენერგიის გამომუშავების გაზრდა. გვირაბში გამავალი წყლის დანაკარგები შემცირდება და შესაბამისად 300 მლ.კვტ.სთ-ით შემცირდება გამომუშავების დანაკარგები; ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება გაიზრდება 8 %-ით.

განხორციელების ვადები²

2017-2020 წწ

36 03 01 ქვეპროგრამის დასახელება

რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს გადამცემ ქსელში 500 კვ ეგზ-ების გამორთვისას და სასისტემო ავტომატიკის მოქმედებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც აქტიური ასევე რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის წარმოქმნა. წორედ აღნიშნულ პრობლემებს აღმოფხვრის ჰესების ქსელში ინტეგრაციისთვის ახალი ეგზ-ს მშენებლობა., მათ შორის 500 კვ ეგზ წყალტუბო -ახალციხე - ტორტუმის (2017-2020წწ) და 250 მგვარ რეაქტორი-ზესტაფონი 500-ში ქს მშენებლობა. ასევე გაიზრდება მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

500 კვ ეგზ წყალტუბო -ახალციხე - ტორტუმის მშენებლობის დაწყებისათვის მზადყოფნა;

250 მგვარ რეაქტორი - „ქს ზესტაფონი 500-ში“ - მშენებლობის დაწყება-დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება;

განხორციელების ვადები²

2017-2020 წწ

36 03 01 01 ღონისძიების დასახელება

500 კვ „წყალტუბო - ახალციხე - ტორტუმი“

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

საქართველოს გადამცემ ქსელში 500 კვ ეგზ-ების გამორთვისას და სასისტემო ავტომატიკის მოქმედებისას შეიძლება ადგილი ჰქონდეს როგორც აქტიური ასევე რეაქტიული სიმძლავრის უბალანსობის წარმოქმნა. წორედ აღნიშნულ პრობლემებს აღმოფხვრის ჰესების ქსელში ინტეგრაციისთვის ახალი ეგზ-ს მშენებლობა. ასევე გაიზრდება მეზობელ ქვეყნებთან ელექტროენერგიის გამტარუნარიანობა.

ახალი 500 კვ ეგზ „წყალტუბო-ახალციხე-ტორტუმის“ მშენებლობა

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

2017 წელს უნდა ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას; დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად; გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

განხორციელების ვადები²

2017 – 2020 წწ

36 03 01 01 ღონისძიების დასახელება

250 მგვარ რეაქტორი ქ/ს ზესტაფონში

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ღონისძიების განხორციელების მიზანია ენერგოსისტემის მდგრადობისა და კვების უსაფრთხოების ამაღლება, ავარიული სიტუაციების რისკების, ავარიული გამორთვების რაოდენობის შემცირება, 250 მგვარ რეაქტორის მშენებლობა ქ/ს „ზესტაფონი 500-ში“

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

დაწყება, მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება იგეგმება 2017 წელს, შედეგად ამაღლება ქსელის საიმედოობა და გამტარუნარიანობა.

განხორციელების ვადები²

2017 წ

36 03 02 ქვეპროგრამის დასახელება

საქართველოს ელექტროგადამცემი ქსელის გაფართოების ღია პროგრამა

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ენერგოსისტემის მდგრადობისა და კვების უსაფრთხოების ამაღლება, ავარიული სიტუაციების რისკების, ავარიული გამორთვების რაოდენობის შემცირება; ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება, თურქეთსა და საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ (სომხეთისკენ), რუსეთიდან და ენგურის კვანძიდან თურქეთისკენ/სომხეთისკენ ტრანზიტის უნარისა და საიმედოობის ამაღლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მიმდინარე „ქსანი-სტეფანწმინდა“ 500 კვ ეგზ-ის მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება; მიმდინარე „ჯვარი ხორგა“ 500/220კვ ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობის დასრულება და ექსპლუატაციაში გაშვება; ახალ პროექტებზე უნდა შეთანხმდეს პირობები და გაფორმდეს სასესხო ხელშეკრულება დონორთან; ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად; გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას.

განხორციელების ვადები²

2014 – 2023 წწ

36 03 02 01 ღონისძიების დასახელება
500 კვ ეგზ-ის მშენებლობა ქსანი-სტეფანწმინდა

ღონისძიების განმახორციელებელი
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ გადამცემი ხაზის მშენებლობა, რომლის საშუალებით მოხდება ელექტროენერგიის გამოტანა მშენებარე დარიალის, ლარსის და აგრეთვე მცხეთა-მთიანეთის რეგიონში მომავალში ასაშენებელი სხვა ჰიდროელექტროსადგურებიდან და მათი მიერთება ქსელში.

500კვ „ქსანი-სტეფანწმინდა“ ელექტროგადამცემი ხაზის (დაახლოებით 95კმ) დაკავშირება 110კვ ყაზბეგის ქვესადგურთან 110კვ დარიალის ელექტროგადამცემი ხაზის გაფართოებით. ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანი წარმოადგენს ქსანი-ვემათხევი-ქართალის მაგისტრალს, რომელიც კვეთს ფასანაური-წინამხარი-კიტოხი-გუდამაყარი-კარკუჩა-სნო-აჩხოტის გზას. რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე აღნიშნული დერეფანი ითვლება საშუალო სირთულის დერეფნად 500კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

ყაზბეგი, ლარსისა და მშენებარე დარიალი ჰესების სიმძლავრის ქსელში შემოყვანის ხელშეწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

მშენებარე ჰიდროელექტროსადგურების მიერთების უზრუნველყოფა ნაციონალურ გადამცემ ქსელთან. საქართველოს ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით ენერგოტრანზიტის დერეფნის როლის გაძლიერება. ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების გაუმჯობესება მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, აღნიშნული რეგიონის, როგორც რეკრიაციული და საკურორტო ზონის, მზარდი მოხონების დასაკმაყოფილებლად. ამალდება საქართველოს ქსელის მდგრადობა და მოხდება 170 მგვტ-მდე სიმძლავრის ჰესების ინტეგრაცია, ასევე გაძლიერდება რუსეთთან პარალელური მუშაობის საიმედოობა.

განხორციელების ვადები²

2014 - 2020 წწ

36 03 02 02 ღონისძიების დასახელება
ჯვარი ხორგა ელექტროგადამცემი ხაზი

ღონისძიების განმახორციელებელი
სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

500/220კვ ქვესადგურის მშენებლობა ჯვარში;

220კვ ეგზ-ს მშენებლობა ქს ჯვარი – ქს ხორგა (60კმ) და არსებული 500კვ ეგზ კავკასიონის შეჭრას ქს ჯვარში (8 კმ); საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა-ზედამხედველობა; სპეც. მანქანებისა და იარაღების შესყიდვა.

ჯვარში ახალი 500/220 კვ-იანი ქვესადგურის მშენებლობა. 8 კმ სიგრძის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, რომელიც მიუერთდება არსებულ, 500 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს “კავკასიონი” და ხორგას 220 კვ.იან და ჯვრის 500 კვ.იან ქვესადგურებს შორის 60 კმ სიგრძის ორჯაჭვა 220 კვ-იან ელექტროგადამცემ ხაზს.

ჯვარი-ხორგას ქსელი, საგრძნობლად გააუმჯობესებს საერთაშორისო და ადგილობრივი მომსახურების ხარისხს და საიმედოობას. ახალი ქვესადგურის მშენებლობით და 220 კვ.იანი ხაზების საშუალებით, შესაძლებელი გახდება ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდება და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ენერგომომარაგების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

500/220 კვ ქვესადგური ჯვარის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, 220 კვ ეგხ-ს ჯვარი-ხორგას მშენებლობისა და 500 კვ ეგხ კავკასიონის ქვესადგურ ჯვარში შეჭრის სამუშაოები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ჰესებიდან ელექტროენერჯის გატანის ხელშეწყობა დასავლეთ საქართველოს, ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და თურქეთის მიმართულებით. ამავდროულად, აღმოსავლეთ საქართველოსკენ ელექტროენერჯის მიწოდების პოტენციალის გაზრდა.

განხორციელების ვადები²

2014 – 2018 წწ

36 03 03 01 ღონისძიების დასახელება

220კვ "ახალციხე-ბათუმი" ხაზის მშენებლობა

ღონისძიების განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ღონისძიების აღწერა და მიზანი

ახალციხისა და ბათუმის ქვესადგურების დამაკავშირებელი 220 კვ-იანი ორჯაჭვიანი საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;

ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ელექტროსისტემის გაძლიერების მიზნით.

პროექტის ფარგლებში განხორციელდება:

- ორჯაჭვა 220 კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა;
- ხაზის სიგრძე 150 კმ, დასამონტაჟებელი ანძების რაოდენობა დაახლოებით 500;
- გამტარუნარიანობა 350 მგვტ;

პროექტის განხორციელების შედეგად შესაძლებელი გახდება მდინარე აჭარის წყალზე ასაშენებელი ჰიდროელექტროსადგურების კასკადის გამომუშავებული ელექტროენერჯის სისტემაში შეყვანა (ჯამში 360 მგვტ).

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

მიმდინარე საამშენებლო სამუშაოები, გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება (სრული მოცულობის 20-25 %)

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

ახალი ელექტროგადამცემი ხაზი მოგვცემს საშუალებას რეგიონში განვახორციელოთ ელექტროენერჯის სტაბილური მიწოდება;

შემცირდება ელექტროენერჯის გათიშვები;

გაიზრდება ქვეყნის შიგნით და ფარგლებს გარეთ ელექტროენერჯიაზე მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაძლებლობა;

მდინარე აჭარისწყალზე დაგეგმილი შუახევის 178 მგვტ-იანი და კორომხეთის 150 მგვტ-იანი ჰესების მიერთდება სახელმწიფო ენერგოსისტემასთან.

განხორციელების ვადები²

2014 – 2019 წწ

36 03 03 02 ღონისძიების დასახელება

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების შეფასება

ღონისძიების განმახორციელებელი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ღონისძიების აღწერა და მიზანი

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების სცენარების გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასება;

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასების ანგარიშის მომზადება საქართველოს ენერგეტიკული სექტორისა და მასთან დაკავშირებული გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიული სცენარისათვის.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

საქართველოს ენერგეტიკული სექტორისა და მასთან დაკავშირებული გადამცემი ინფრასტრუქტურის განვითარების სხვადასხვა სტრატეგიული სცენარისათვის გარემოსდაცვითი და სოციალური სტრატეგიული შეფასების ანგარიში და რეკომენდაციები სასურველი სცენარისთვის.

განხორციელების ვადები

2017 წ

36 03 04 ქვეპროგრამის დასახელება

ჩრდილოეთის რგოლი ეგს (1 ფაზა)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ღონისძიების მიზანია მესტიის რეგიონის ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების, ნენსკრაჰესის სიმძლავრის, ხუდონჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლება, რისთვისაც დაგეგმილია შემდეგი საამშენებლო სამუშაოები:

220 კვ ორჯაჭვა ეგს-ის მშენებლობა "ნენსკრა-ხუდონი", სიგრძე 7 კმ,

110 კვ ორჯაჭვა ეგს-ის მშენებლობა „ხუდონი-მესტია“, სიგრძე 90 კმ,

10 კვ 125 მგვა ქ/ს „მესტია“ მშენებლობა

500/220 კვ 500 მგვა ქ/ს „ხუდონი“, 110 კვ ფრთა და 250 მგვა 220/110 კვ ავტოტრანსფორმატორი.

ქვესადგურ ხუდონში 500 კვ ეგს „კავკასიონის“ შეჭრა,

110 კვ ორჯაჭვა ხაზი "ხელედულა - ჯახუნდერი"

220/110 კვ 125 მგვა ავტოტრანსფორმატორი ქ/ს ლაჯანურში

ღონისძიების მიზანია მესტიის რეგიონის ჰესების, მდინარე ნენსკრას შენაკადების, ნენსკრაჰესის სიმძლავრის, ხუდონჰესის სიმძლავრის გამოტანა და საიმედოობის ამაღლება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

უნდა გაფორმდეს სასესხო ხელშეკრულება დონორთან; ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა.

განხორციელების ვადები²

2017 – 2023 წწ

36 03 05 ქვეპროგრამის დასახელება

500 კვ ეგზ ჯვარი-წყალტუბო

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ხუდონი-ენგურის კვანძიდან სიმძლავრის გატანის უსაფრთხოება საქართველოს აღმოსავლეთ რეგიონისკენ. ქუთაისი-წყალტუბოს რეგიონში წარმოებებისა და ტურისტული ცენტრების შექმნის შესაძლებლობის უზრუნველყოფა, ხუდონჰესის, ნენსკრაჰესის, მესტიის ჰესების, ცხენისწყლის კასკადის, ნამახვანის ჰესების კასკადის სიმძლავრის ქსელში გამოტანა, რისთვისაც დაგეგმილია შემდეგი საამშენებლო სამუშაოები:

500 კვ ეგზ "ჯვარი-წყალტუბო", სიგრძე 100 კმ, გამტარუნარიანობა 1200 მგვტ

500კვ ქს-ის "წყალტუბო" მშენებლობა

220/110 კვ 125 მგვა ავტოტრანსფორმატორის მშენებლობა ქ/ს შუახევში

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

უნდა გაფორმდეს სასესხო ხელშეკრულება დონორთან; ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, ასევე პერსპექტიული ელსადგურების სიმძლავრის ქსელში ინტეგრაციის უზრუნველყოფა და შიდა ქსელის გამტარუნარიანობის ზრდა

განხორციელების ვადები²

2017 – 2020 წწ

36 03 06 ქვეპროგრამის დასახელება

გურიის ელგადაცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება

ქვეპროგრამის განმახორციელებელი

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ღონისძიების მიზანია გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების ქსელში ინტეგრირება, გურიის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრის გამოტანის საიმედოობის ამაღლება, ბათუმის რეგიონის კვების საიმედოობის ამაღლება.

დაგეგმილია შემდეგი საამშენებლო სამუშაოები:

220/110კვ ქვესადგური "ოზურგეთი", 250 მვა დადგმული სიმძლავრით;

220კვ ეგზ "პალიასტომიდან" ორჯაჭვა ეგზ-ის შეჭრა 220/110 კვ ქს-ში "ოზურგეთი";

ახალი 110კვ ქვესადგურის მშენებლობა ჩოხატაურში;

ახალი ორჯაჭვა 110კვ ხაზი "ოზურგეთი-ჩოხატაური"

მოსალოდნელი შუალედური შედეგები

უნდა გაფორმდეს სასესხო ხელშეკრულება; ჩატარდეს საერთაშორისო ტენდერი კონსულტანტების შერჩევის მიზნით, რომლებიც განახორციელებენ პროექტის ზედამხედველობას და მართვას, დოკუმენტაციების

მომზადებას მშენებლობის ტენდერის გამოსაცხადებლად, გამარჯვებულ კომპანიასთან საკონტარქო პირობების შეთანხმებას და კონტრაქტის გაფორმებას

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

საიმედოობის და გამტარუნარიანობის ამაღლება, გურიის რეგიონის პერსპექტიული ჰესების, მდინარე რიონის ქვემო ზონის (ვარციხის კასკადის) ჰესების სიმძლავრეების ქსელში ინტეგრირება და ტრანზიტი მომხმარებლებისკენ.

განხორციელების ვადები²
2017 – 2020 წწ

2017-2020 წლების სამუდამო დანახარები

პროექტის კოდი	N	კომპლექსური პროექტების და მათი ფარგლებში განხორციელებული პროგრამების/პროგრამების და ღონისძიებების დასახელება	2017 წელი				2018 წელი				2019 წელი				2020 წელი			
			სულ	მ.ს. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.ს. დონორები	მ.ს. კანონმდებლის კომისიებისგან მიღებული სხვა შემოსულობები	სულ	მ.ს. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.ს. დონორები	მ.ს. კანონმდებლის კომისიებისგან მიღებული სხვა შემოსულობები	სულ	მ.ს. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.ს. დონორები	მ.ს. კანონმდებლის კომისიებისგან მიღებული სხვა შემოსულობები	სულ	მ.ს. სახელმწიფო ბიუჯეტი	მ.ს. დონორები	მ.ს. კანონმდებლის კომისიებისგან მიღებული სხვა შემოსულობები
	I	პროგრამების დასახელება																
		ფინანსური განყოფილება, ინფრასტრუქტურა და ტერიტორიული განყოფილება																
36 01	1	პროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 01	1.1	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 01 01	1.1.1	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 01 02	1.1.2	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 01 03	1.1.3	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 02	1.2	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 02 01	1.2.1	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 01 03	1.3	ქვეპროგრამის დასახელება																
		ქვეპროგრამის დასახელება																
36 02	2	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 02 01	2.1	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03	3	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 01	3.1	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 01 01	3.1.1	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 01 02	3.1.2	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 02	3.2	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 02 01	3.2.1	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 02 02	3.2.2	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 03	3.3	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 03 01	3.3.1	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 03 02	3.3.2	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 04	3.4	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 05	3.5	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																
36 03 06	3.6	პროგრამის დასახელება																
		პროგრამის დასახელება																